

၉၈၈၅၅၅

ჩაკ პალანიკი

მებრძოლთა კლუბი

დიდგენე
გიგლოთაძე

ჩაკ პალანიკი
მებრძოლთა კლუბი

Chuck Palahniuk
FIGHT CLUB

ინგლისურიდან თარგმნა ნიკა სამუშიამ

© Chuck Palahniuk, 1996
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2012, 2024
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-860-9

www.diogene.ge

ედვინება ქეროლ მიდერს,
რომელიც ჩემს უსაქციელობას უძლებს.

მეზროლოთა კლუბი

ტაილერმა ჯერ მიმტანად მუშაობა დამანყებინა, ახლა პირში პისტოლეტის ლულა ჩამთხარა და მეუბნება, თუ უკვდავება გინდა, ჯერ უნდა მოკვდეო. არადა, ერთ დროს მე და ტაილერი საუკეთესო მეგობრები ვიყავით. ხალხი ყოველთვის იმას მეკითხება, ტაილერ დერდენზე რამე თუ გსმენიაო.

პისტოლეტის ლულა ხორხზე მეხება. ტაილერი მეუბნება:
– მართლა კი არ მოვკვდებით.

ენის ნვერით ვეხები ნახვრეტებს პისტოლეტის ლულაზე. ლულა მე და ტაილერმა ერთად გავხვრიტეთ. სროლისას ხმაურს აირის გაფართოება ინვევს, თორემ სწრაფად მოძრავი ტყვია სულ ოდნავ ზუზუნებს. ხმის ჩასახშობად ლულა ბევრგან უნდა გახვრიტო. ნახვრეტებიდან აირი თავისუფლდება და აღარც ტყვია მიქრის ბგერის სიჩქარით.

ოლონდ თუ ლულას არასწორად გახვრეტ, პისტოლეტი გასკდება და ხელს წაგლეჯს.

– ეს ნამდვილი სიკვდილი არცაა, – მეუბნება ტაილერი, – ლეგენდარულები გავხდებით. არასდროს დავბერდებით.

პირში ენით ლულას განზე ვწევ და ვამბობ, ტაილერ, მგონი, ვამპირობას აპირებ-მეთქი.

შენობა, რომლის თავზეც ვდგავართ, ათ წუთში დაინგრევა. აიღეთ 98%-იანი აზოტმჟავა და გაურიეთ სამჯერ მეტი მოცულობის გოგირდმჟავაში. ეს ცივ აბაზანაში გააკეთეთ. შემდეგ პიპეტით წვეთ-წვეთად დაამატეთ გლიცერინი და ნიტროგლიცერინიც მზადაა.

ნიტროგლიცერინის დამზადება ვიცი იმიტომ, რომ ეს ტაილერმა იცის.

გაურიეთ ნიტროგლიცერინში ნახერხი და პლასტიტს მიიღებთ. ბევრი ნიტროგლიცერინს ბამბასა და მაგნიუმის სულფატში ურევს. ესეც შეიძლება. ზოგი პარაფინსაც იყენებს. მე პარაფინს არ ვიყენებ, რადგან კარგი ბომბი არ გამომდის.

მოკლედ, მე და ტაილერი „პარკერ-მორისის“ ცათამბჯენზე ვდგავართ. პირში პისტოლეტის ლულა მაქვს ჩათხრილი. შუშის მსხვრევის ხმა გვესმის. სახურავის კიდეს გავცქერით. მოღრუბლულია, ამსიმაღლეზეც კი. ეს მსოფლიოს უმაღლესი შენობაა და აქ ყოველთვის ცივა. აქ, ამსიმაღლეზე, ისეთი სიჩუმეა, გგონია, რომ კოსმონავტი მაიმუნი ხარ. რაც გასწავლეს, იმას აკეთებ.

ჩამოსწიე ბერკეტი.

დაანექი ლილაკს.

აზრზე არ ხარ, რას აკეთებ და... კვდები.

ას ოთხმოცდათერთმეტი სართულით ქვემოთ ბრბო წინნკლებიან ხალიჩასავით გადაჰფარებია ქუჩას. მინა ზუსტად ჩვენ ქვემოთ, ფანჯარაში ჩაიმსხვრა. ნამსხვრევები ძირს ცვივა. შემ-

დეგ მაცივარივით დიდი, ექვსუჯრიანი შავი კარადა შენობის ქვის კედელს სწყდება, ნელა ყირავდება, ვარდება, თანდათან პატარავდება და შეგროვილ ბრბოში იკარგება.

ას ოთხმოცდათერთმეტივე სართულზე „პროექტ ქაოსის“ „მავნებელთა კომიტეტის“ წევრი „კოსმონავტი მაიმუნები“ გადარეულები დარბიან და ისტორიას ფურცელ-ფურცელ ანადგურებენ.

ძველი გამოთქმაა, ადამიანი ყოველთვის საყვარელ ადამიანს იმსხვერპლებს ხოლმეო, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება პირიქითაც მოხდეს.

როცა კბილებში პისტოლეტის ლულა გაქვს გაჩრილი, ძლივძლივობით ლულლულე.

ათი წუთილა გვრჩება.

კიდევ ერთი ფანჯარა იმსხვრევა. მოლაპლაპე მინის ნამსხვრევები მტრედების გუნდით იფანტება ჰაერში. მერე შიგნიდან ხის მაგიდა გამოდის, რომელსაც „მავნებელთა კომიტეტის“ წევრები აწვებიან. მაგიდის ცალი მხარე თანდათან ჰაერში ეკიდება, ყირავდება, ძირს ვარდება და ჯადოსნური ნივთივით იკარგება ბრბოში.

„პარკერ-მორისი“ ცხრა წუთში აქ აღარ იდგება. თუ საყრდენ ბოძებს საკმარისი რაოდენობის პლასტიტს წაუსვამთ, მსოფლიოს ნებისმიერ შენობას დაანგრევთ. ოღონდ საყრდენებს გარშემო ქვიშის ტომრები უნდა შემოუნწყოთ, რომ აფეთქებისას დარტყმის ტალღა ბოძებს დაეტაკოს და ავტოსადგომში არ გაიშალოს.

ისტორიის ვერც ერთ წიგნში ვერ იპოვით ასეთ სასარგებლო რჩევებს.

ნაპალმის დამზადების სამი ხერხი არსებობს. პირველი, შეგიძლია, ბენზინი თანაბარი მოცულობის გაყინული ფორთოხლის წვენი კონცენტრატში შეურიო. მეორე, ბენზინი თანაბა-

რი მოცულობის დიეტურ კოლაში შეურიო და მესამე, კატის დაფშენილი განავალი ბენზინში ჩაყარო და მანამდე ურიო, სანამ არ გასქელდება.

თუ გნებავთ, შემოძლია, ნერვული გაზის დამზადებაც გასწავლოთ. ან გიჟური ავტომანქანების ბომბების!

ცხრა წუთი.

„პარკერ-მორისის“ ცათამბჯენი დაინგრევა მთელი თავისი ასოთხმოცდათერთმეტი სართულით, მოჭრილ ხესავით დაეცემა ძირს. ყველაფრის დანგრევა შესაძლებელია. წარმოდგენაც კი მიჭირს, რომ აქ, სადაც ახლა ვდგავართ, მალე აღარაფერი იქნება.

მე და ტაილერი სახურავის კიდეზე ვდგავართ, პირში პისტოლეტის ლულა მაქვს ჩათხრილი. ნეტა სუფთა მაინც თუა ეს პისტოლეტი?

საერთოდ გვავინწყდება ტაილერის მკვლევლობა-თვითმკვლევლობის გიჟური იდეა, რადგან ქვედა სართულის ფანჯრიდან კიდევ ერთი კარადა ვარდება, ჰაერში უჯრები ილება და ქარი ფურცლებს ჰაერში მიაფრენს.

რვა წუთი.

ჩამტვრეული ფანჯრებიდან კვამლი გამოდის. დაახლოებით რვა წუთში ამფეთქებელთა გუნდი შეტევას განახორციელებს. პირველი მუხტი ძირითად მუხტზე იმოქმედებს, საყრდენი ბოძები შეირყევა და „პარკერ-მორისის“ ცათამბჯენის ფოტოსერია ისტორიის წიგნების ფურცლებზე გადაინაცვლებს. ხუთი მომენტალური ფოტო. პირველზე ცათამბჯენი ამაყად აღმართულა, მეორეზე ათი გრადუსით გადახრილა, მესამეზე – ოციით, მეოთხეზე – ორმოცდახუთით. ამ დროს კარკასი ნებდება და შენობა ილუნება. ბოლო ფოტოზე ასოთხმოცდათერთმეტსართულიანი ცათამბჯენის ნანგრევები ეროვნულ მუზეუმს იყოლებს ქვეშ. სწორედ ეროვნული მუზეუმი ტაილერის ნამდვილი სამიზნე.

– ამიერიდან ეს სამყარო ჩვენია, მხოლოდ ჩვენი, – ამბობს ტაილერი, – ის ძველი ხალხი უკვე მკვდარია.

არ მეგონა, თუ ყველაფერი ასე შემობრუნდებოდა, თორემ მეც სიამოვნებით მოვკვდებოდი და ახლა საიქიოს ვიქნებოდი. შვიდი წუთი.

„პარკერ-მორისის“ ცათამბჯენზე ვდგავარ, პისტოლეტის ლულა პირში მაქვს ჩათხრილი. ჩამსხვრეული ფანჯრებიდან კვამლის ბოლქვები გამოდის, ძირს შეკრებილ ბრბოს თავზე მაგიდებს, კარადებს, კომპიუტერებს აყრიან. სამი კვარტლის მოშორებით ამფეთქებელთა ჯგუფი საათს შეჰყურებს. მე ვიცი, რაც ხდება. პისტოლეტი, ანარქია, აფეთქება – ამ ყველაფრის მიზეზი მარლა სინგერია.

ექვსი წუთი.

მოდი, ჩვენს ურთიერთობებში გავერკვეთ. მე ტაილერი მინდა. ტაილერს მარლა უნდა. მარლას მე ვუნდივარ. მე მარლა არ მინდა, ხოლო ტაილერს ჩემთან მეგობრობა აღარ უნდა. მაგრამ ეს სასიყვარულო სამკუთხედი სულაც არაა. აქ საქმე სიყვარულს კი არა, ფლობას ეხება.

მარლას გარეშე ტაილერი არაფერი იქნებოდა.

ხუთი წუთი.

ლეგენდარულები ან გავხდებით, ან არა.

აღბათ, არა, ვამბობ მე, მაგრამ მაინც მოითმინე.

სად იქნებოდა იესო ქრისტე, სახარებები რომ არავის დაენერა?

ოთხი წუთი.

პირში ენით პისტოლეტის ლულას განზე ვწევ და ვამბობ, მაშ, გინდა ლეგენდარული გახდე, ტაილერ? ეგრე იყოს. მე ამ ამბავში თავიდანვე ვმონაწილეობ. ყველაფერი მახსოვს.

სამი წუთი.

2

ბობმა მკლავები შემომაჭდო და სიბნელეში თავის გაოფლილ, ჩამონელილ, ღმერთივით დიდ ძუძუებზე მიმიჭყლიტა. ეკლესიის სარდაფი როგორც ყოველთვის სავსეა: აი, ეს არტია, ეს – პოლი, ეს – ბობი. ბობის განიერმა მხარბეჭმა ჰორიზონტი გამახსენა. ბობის სქელი, ქერა თმა თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რა მოუვა თქვენს თმას, როცა მუსის ნაცვლად თმის გელს გამოიყენებთ – ბობის სქელი და ქერა თმა ალაგ-ალაგ ძალიან დატკეპნილია.

ბობი მკლავებში მიმწყდევს და თავს ახლად ამოზრდილ ძუძუებზე მადებინებს.

– ყველაფერი კარგად იქნება, – მამშვიდებს ბობი, – მიდი, იტირე.

მთელი ტანით ვგრძნობ ბობის ორგანიზმში მიმდინარე ქიმიურ რეაქციებს: საჭმლის მონელებას და ჟანგბადის წვას.

– იქნებ ჯერ ადრეულ სტადიაზეა, – მეუბნება ბობი, – იქნებ მხოლოდ სემინომაა? თუ ასეა, გადარჩენის ასპროცენტია-ნი შანსი გაქვს.

ბობი ღრმად ისუნთქავს, მისი მხრები მაღლა ადის და მერე ცახცახით ისევ ქვემოთ ეშვება. ადის. ეშვება. ადის. ეშვება. ქვითინებს და ველარ ჩერდება.

უკვე ორი წელია, აქ ყოველკვირა დავდივარ. ბობი გულში მიხუტებს. მე ვტირი.

– იტირე, – მეუბნება ბობი, ხვნეშის და ქვითინებს, – მიდი, იტირე.

დიდ, სველ სახეს თავზე მადებს და მასში ვიკარგები. სწორედ ამ დროს მეტირება. ტირილი ახლოსაა, როცა სულის შემხუთველ ბნელში სხვის მკლავებში ხარ მომწყვდეული; ტირი, რადგან ხვდები – რასაც უნდა მიაღწიო ამ ცხოვრებაში, ადრე თუ გვიან, მაინც ყველაფერი სანაგვეზე აღმოჩნდება.

ყველაფერს, რითაც ამაყობ, დაივიწყებენ.

სხვის მკლავებში ვიკარგები.

თითქმის ერთი კვირაა არ მძინებია და როგორც იქნა, ძილი მერევა.

ასე შევხვდი მარლა სინგერს.

ბობს ის ატირებს, რომ ექვსი თვის წინ სათესლე ჯირკვლები ამოაცალეს. მერე ჰორმონალური თერაპია ჩაუტარეს. ბობს ძუძუები ეზრდება, რადგან მისი ორგანიზმი ზედმეტ ტესტოსტერონს გამოიმუშავებს. ტესტოსტერონის მაღალი დონის გასაწონასწორებლად ორგანიზმი ესტროგენის ჭარბად გამოიმუშავებს ინცებს.

სწორედ ასეთ დროს მეტირება, რადგან ვხვდები, რომ ჩემი ცხოვრება არაფერს წარმოადგენს. სრული არარაობა ვხდები. თითქოს გარე სამყაროს ვეთიშები.

ჭარბი ესტროგენი უდრის ძუკნის ძუძუებს.

ტირილი ადვილია, როცა იცი, რომ ყველა, ვინც გიყვარს, ზურგს გაქცევს ან მოკვდება. დროის წრფის გრძელ მონაკვეთზე ნებისმიერი ჩვენგანის გადარჩენის ალბათობა ნულს უტოლდება.

ბობს იმიტომ ვუყვარვარ, რომ ჰგონია, სათესლე ჯირკვლები მეც ამომაცალეს.

წმინდა სამების ეკლესიის სარდაფში იაფფასიან მაღაზიაში ნაყიდ პლედგადაფარებულ დივნებზე ოცამდე მამაკაცი და ერთი ქალი ზის. ყველა დანყვილებულია, ერთმანეთს ეხვევა და ტირის. ზოგიერთი წყვილი წინ გადახრილა და მოჭიდავეებივით ყური ყურზე მიუდვიათ. კაცს, რომელიც ერთადერთ ქალს ეხვევა, იდაყვები ქალის მხრებზე შემოუნყვია, ცალი ხელისგული მის კეფაზე უდევს, მისი თავი მკლავებშია მოუქცევია, თვითონ კი სახით მის ყელზეა მიკრული და ტირის. ქალი თავს აბრუნებს და კოლოფიდან სიგარეტის ღერს იღებს.

მე დიდი ბობის ილლიიდან ვიჭყიტები.

– ტყუილად ვცოცხლობ, – ამბობს ბობი, – რას ვაკეთებ, თვითონაც არ ვიცი.

სათესლე ჯირკვლების კიბოთი დაავადებულთა მხარდაჭერის ჯგუფში, რომელსაც „ერთად შევინარჩუნოთ მამაკაცობა“ ჰქვია, ერთადერთი ქალია. ამ ქალს უცხო მამაკაცის ხელეზობი აწყვია მხრებზე, თვითონ სიგარეტს ენევა. და უცებ მისი მზერა ჩემსას ხვდება.

თვალთმაქცი.

თვალთმაქცი.

თვალთმაქცი.

მოკლედ შეჭრილი, ანეწილი თმა აქვს; დიდი, შავი თვალე-
ბი, როგორც იაპონური მულტფილმის გმირებს; ავადმყოფუ-
რად ყვითელი კანი; გამხდარია; კაბა მუქი ვარდებითაა მოხა-
ტული. ეს ქალი პარასკევ სალამოს ტუბერკულოზით დაავადე-
ბულთა მხარდაჭერის ჯგუფში ვნახე. ოთხშაბათ სალამოს მე-
ლანომით დაავადებულთა მრგვალ მაგიდაზე შემხვდა. ორშა-
ბათ სალამოს ჩემს ლეიკემიით დაავადებულთა მხარდაჭერის
ჯგუფში, „ურყევ რწმენაშიც“, იყო. თმა შუაზე გაუყვია და გაკ-
ლაკნილი თეთრი სკალპი უჩანს.

მხარდაჭერის ჯგუფებს სულ უაზრო, ოპტიმისტურ სახე-
ლებს არქმევენ. მაგალითად, ხუთშაბათობით სისხლის პარა-
ზიტინთა ჯგუფში დავდივარ, რომელსაც „თავისუფალი და
სუფთა“ ჰქვია, ტვინის პარაზიტინთა ჯგუფს – „ნებისყოფა
და ძალა“.

დღესაც, ამ კვირა სალამოს, წმინდა სამების ეკლესიაში ამ-
დენ მამაკაცს შორის ეს ქალიც ზის.

უფრო უარესი, როცა ის მიყურებს, ველარ ვტირი.

არადა, ამ მომენტს ველოდი. წესით, ახლა დიდი ბობის
მკლავებში მოქცეული, გულამოსკვნილი უნდა ვტიროდე. კვი-
რის განმავლობაში ყველანი იმდენს ვმუშაობთ... ეს ერთადერ-
თი ადგილია, სადაც მოდუნებისა და სულის მოთქმის საშუა-
ლება მაქვს.

ეს ჩემი შვებულებაა.

მხარდაჭერის პირველ ჯგუფში ორი წლის წინ მივედი, რო-
ცა ექიმს კიდევ ერთხელ შევჩივლე, უძილობა მანუხებს-მეთქი.
სამი კვირის განმავლობაში თვალი არ მომიხუჭავს. სამკ-

ვირიანი უძილობის შემდეგ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემი სული სხეულს გამოეყო.

ჩემმა ექიმმა მითხრა:

– უძილობა მხოლოდ რალაც უფრო სერიოზულის სიმპტომია. დაადგინეთ, სინამდვილეში რა გჭირთ. სხეულს ყური დაუგდეთ.

მე მხოლოდ ძილი მინდოდა, „ამიტალ სოდიუმის“ 200-მილიგრამიანი პატარა, ლურჯი აბები, „ტუინალის“ ლურჯ-წითელი აბები, პომადასავით წითელი „სეკონალის“ აბები.

ექიმმა მირჩია, ვალერიანის ფესვები დალეჭე, უფრო მეტი ივარჯიშე და თანდათან დაგეძინებაო. ჩემი ჩირივით ჩამომტკნარი სახის შემხედვარე იფიქრებდით, რომ მკვდარი ვიყავი.

ექიმმა ისიც დაამატა, თუ გინდათ გაიგოთ, ნამდვილი ტკივილი რა არის, სამშაბათ საღამოს ტვინის პარაზიტთანა ჯგუფ „პირველ ზიარებაში“ შეიარეთ, ტვინის პარაზიტები ნახეთო; ან კიდევ ძვლის დეგენარაციით, ტვინის ორგანული დისფუნქციითა და კიბოთი დაავადებულებიო.

მეც წავედი.

პირველ ჯგუფში, სადაც მივედი, სათითაოდ ნარგვადგინეს: ეს ელისია, ეს – ბრენდა, ეს – დოვერიო.

ყველას საფეთქელთან უხილავი პისტოლეტი აქვს მიდებული, მაგრამ მაინც იცინის.

ჩემ ნამდვილ სახელს არც ერთ ჯგუფში არ ვამხელ.

ამ გაძვალტყავებულ ქალს უკანალზე შარვალი ცარიელ ტომარასავით რომ ჩამოსწეღვია, ქლოი ჰქვია. ქლოი მეუბნება, ყველაზე ცუდი ისაა, რომ ტვინის პარაზიტების გამო ჩემთან სექსი არავის უნდაო.

ქლოი ისე ახლოსაა სიკვდილთან, რომ სადაზღვევო კომპანიას მისთვის სამოცდაათი ათასი დოლარი გადაუხდია, ქლო-

ის კი მხოლოდ ბოლოჯერ ჟიმაობა უნდა. არანაირი ინტიმი, მხოლოდ სექსი.

ასეთ დროს ბიჭმა რა უნდა ქნას? რა უნდა უპასუხოს?

ქლოის კვდომა უბრალო დაღლილობით დაწყებულა. ახლა კი იმდენად მოჰბეზრებია ყველაფერი, რომ აღარც მკურნალობს. ქლოის ბინაში პორნოგრაფიული ფილმები აქვს. ქლოიმ მითხრა, საფრანგეთის რევოლუციის დროს ციხეში დამწყვდეული დიდგვაროვანი ქალები – ჰერცოგინია, ბარონესა თუ მარკიზა – ნებისმიერ კაცთან ჟიმაობდნენ, ვინც კი მათ ზედ დაანვებოდაო. ქლოის ცხელი სუნთქვა ყელზე მელამუნება. ნებისმიერთან ჟიმაობდნენო! ალბათ, დრო ასე გაჰყავდათ.

La petite mort! მგონი, ასე უნოდებენ ფრანგები.

იმ დღეს ქლოიმ პორნოგრაფიის საყურებლად დამპატიჟა. ამილნიტრიტიც მაქვს და სპეციალური საცხებიცო.

ეს სხვა ქალს რომ შემოეთავაზებინა, მაშინვე ამიდგებოდა, მაგრამ ჩვენი ქლოი ცარიელი ძვალი და ტყავია.

ქლოი ქლოია, მე კი – არარაობა. არარაობაც კი არ ვარ. და მაინც გაცვეთილ ხალიჩაზე წრეში რომ ვსხდებით, ქლოი ყოველთვის გვერდით მომიჯდება ხოლმე და მხარზე მხარს გამკრავს.

თვალები დავხუჭეთ. მედიტაციას ქლოი ხელმძღვანელობდა. უშფოთველობის ბაღში შეგვიყვანა, ბორცვის წვერზე შვიდი კარის სასახლესთან მივედით. შიგნით შვიდი კარი იყო. ქლოიმ ყველა კარი გაგვალღებინა: მწვანე, ყვითელი, ფორთოხლისფერი, ლურჯი, წითელი და თეთრი. ვნახეთ, მათ იქით რა იყო.

თვალებდახუჭულებმა ჩვენი ტკივილი თეთრად მანათობელ, გამაჯანსაღებელ ბურთად წარმოვიდგინეთ: ბურთი ჰა-

¹ პატარა სიკვდილი – (ფრ.) ორგაზმის მეტაფორა.

ერში ლიევილებს, მუხლებამდე ამოდის, მერე – წელამდე, მკერდამდე... ჩვენი ჩაკრები იხსნება. გულის ჩაკრა. თავის ჩაკრა. ქლომ გამოქვავულში შეგვიყვანა, სადაც ჩვენი ნებისყოფის გამომსახველ ცხოველს შევხვდით. ჩემი პინგვინი იყო. გამოქვავულის იატაკი მოყინული იყო და პინგვინმა მითხრა, გასრი-ალდიო. ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე გავსრიალდით გვირაბებსა და დერეფნებში.

მერე ჩახუტების დრო დადგა.

გაახილეთ თვალები!

– ეს თერაპიული ფიზიკური კონტაქტი იყო, – ამიხსნა ქლომ. მენყვილები ავირჩიეთ. ქლოი გადამეხვია და ატირდა. შინ ეროტიკული საცვლები მაქვსო, მითხრა და ატირდა. საცხები და ხელბორკილიც მაქვსო, ტიროდა ქლოი; ჩემს მაჯის საათზე ვაკვირდებოდი: წამის ისარმა თერთმეტი წრე დაარტყა.

ორი წლის წინ პირველი ჯგუფის შეხვედრაზე არ მიტირია. არც მეორე და მესამე ჯგუფების შეხვედრაზე. არც სისხლის პარაზიტთანა, არც ნაწლავების კიბოთანა და არც ქუუასუსტთა ჯგუფებში.

ეს ყველაფერი უძილობის ბრალია. ყველაფერი შორეული გეჩვენება, თითქოს ასლის ასლის ასლია. უძილობა ყველაფერს გაშორებს, ვერაფერს შეეხები და ვერაფერი შეგეხება.

მერე ბობი გამოჩნდა. როცა პირველად შევედი სათესლე ჯირკვლების სიმსივნით დაავადებულთა ჯგუფში, დიდი ბობი, დიდი ჩიზბურგერი, ნამდვილი ხარირემი, თავს დამაცხრა და ატირდა. ჩახუტების დრო რომ დადგა, პირდალბული და აცრემლებული ბობი გაშლილი ხელებით წამოფრატუნდა ჩემკენ და დამეტაკა.

თავისი ვეება ტორებით კინალამ გამსრისა.